საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10465/01
04/11/2020

10465-01-2-202011041548

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“

გაცნობებთ, რომ სამინისტროში შემოსულია ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2020 წლის 19 ოქტომბრის N04/02-273 წერილი (სამინისტროს რეგისტრაციით N16390), რომელიც ეხება ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე, ცენტრალური პარკის მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-11 პუნქტის 11.4 ქვეპუნქტის თანახმად, 10 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე გასართობი პარკის (მათ შორის, ატრაქციონების პარკის) გაშენება, ასევე მე-9 პუნქტის 9.2 ქვეპუნქტის თანახმად, 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას. სკრინინგის პროცედურა განსაზღვრავს გზშ-ს ჩატარების საჭიროებას.

გთხოვთ, განიხილოთ წერილში დასმული საკითხი და ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ აცნობოთ განმცხადებელსა და სამინისტროს.

იხ. დანართის ელ. ვერსია

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე